**ჩვენი გუნდი მესამეა**

**ვიტებსკში** დამთავრდა სოფლის სპორტსმენთა III საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდური პირველობა უკრაინელმა სპორტსმენებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდნენ რსფსრ-ს წარმომადგენლები, ხოლო III — საქართველოს მოჭიდავეები.

**დინამოელთა „ბრინჯაო“**

**მოსკოვში** გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის მატჩი შაიბიან ჰოკეიში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „დინამოსა“ და ვოსკრესენსკის „ხიმიკის“ გუნდები. გაიმარჯვეს დინამოელებმა (4:1), რომლებმაც დარჩენილი თამაშების შედეგების მიუხედავად, გაინაღდეს ბრინჯაოს მედლები.

## ძველი სენაკელი ფიზკულტურელებთან

მე-2 გვ.

## ლეიბებს ბოქლომი ადევს

## სტარტზე გამოდის მეორე ეშელონი

მე-3 გვ.

## 3 წუთიდან 10 საათამდე

მე-4 გვ.


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 73 (3050) 14 1966 წ. აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 22-ე წელი


პეტროსიანი სპასკი მოსკოვი 1966

## მეორე პარტია

## ჩემპიონის უპირატესობით

**მოსკოვი, 13 აპრილი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).** ესტრადის თეატრში დღეს გაიმართა მსოფლიო პირველობაზე პეტროსიან — სპასკის საჭადრაკო მატჩის II პარტია. თეთრებით თამაშობდა მსოფლიო ჩემპიონი. მეტოქეებმა გაითამაშეს ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთი ვარიანტი — ინგლისური დასაწყისი.

პირველი პარტიისგან განსხვავებით, თამაში ხასიათდებოდა საინტერესო სტრატეგიული ბრძოლით, სადაც პეტროსიანმა მიაღწია უმნიშვნელო პოზიციურ უპირატესობას. 25-ე სვლაზე სპასკი იძულებული გახდა დაეთმო პაიკი. შემდეგ მსოფლიო ჩემპიონმა ზუსტი მანევრებით გააძლიერა თავისი პოზიცია.

პარტია გადაიდო. პეტროსიანი ზედმეტ პაიკთან ერთად მცირე პოზიციურ უპირატესობას ინარჩუნებს.

**პეტროსიანი — სპასკი**

ლაზიერის გამბიტი

1. c4 e6, 2. მc3 d5, 3. d4 კe7, 4. მf3 მf6, 5. კg5 0—0, 6. e3 h6, 7. კh4 b6, 8. cd მ:d5, 9. კ:e7 ლ:e7, 10. მ:d5 ed, 11. ეc1 კe6, 12. ლa4 c5, 13. ლa3 ეc8, 14. კe2 a5, 15. 0—0 მa6, 16. dc bc, 17. მd4 კd7, 18. კ:a6 ე:a6, 19. მe2 a4, 20. ეfd1 ლd6, 21. ეd2 კe6, 22. h3 ეc7, 23. მf4 c4, 24. ლ:d6 ე:d6, 25. მe2 a3, 26. ba კf5, 27. მc3 ეcd7, 28. ეd4 მფf8, 29. f3 მფe7, 30. ეcd1 კe6, 31. ეb1 ეa6, 32. a4 მფd6, 33. მფf2 მფc5, 34. ეd2 ეa5, 35. მფe2 კf5, 36. e4 de, 37. fe ე:d2+, 38. მფ:d2 კd7, 39. ეb7 მფc6, 40. ეb8 მფc5. პარტია გადაიდო.

41-ე სვლა ჩაიწერა პეტროსიანმა.

* * *





ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ზევით — ტ. პეტროსიანი, მატჩის მთავარი არბიტრი ა. ო'კელი (ბელგია) და ბ. სპასკი, ქვევით — პირველი სვლა გაკეთებულია!

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.

ფეხბურთი

# „ა“ კლასი II ჯგუფი 6 მატჩი

12 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის II ჯგუფის პირველი ქვეჯგუფის ფეხბურთელთა გუნდების კალენდარული მატჩები სსრ კავშირის პირველობაზე.

აი, შედეგები:

„თერგი“ (გროზნო) — „დაუგავა“ (რიგა) 1:1.
„დინამო“ (კიროვაბადი) — „დინამო“ (ტალინი) 1:0.
„შირაკი“ (ლენინაკანი)—„როსტსელმაში“ (როსტოვი) 1:1.
„დინამო“ (სტავროპოლი)—„ჟალგირისი“ (ვილნიუსი) 1:0.
„სპარტაკი“ (ნალჩიკი) — „ბალტიკა“ (კალინინგრადი) 1:0.
„კუბანი“ (კრასნოდარი)—„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 1:1.

# რესპუბლიკის პირველობა

## გათამაშების ცხრილები

მდგომარეობა 11 აპრილისათვის

**I ჯგუფი**

I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი“ (ზესტაფონი) | 4 | 4 | 0 | 0 | 8—0 | 8 |
| „განთიადი“ (ბორჯომი) | 4 | 3 | 1 | 0 | 4—1 | 7 |
| „ფეიქარი“ (წულუკიძე) | 4 | 2 | 1 | 1 | 8—4 | 5 |
| „მესხეთი“ (ახალციხე) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „მადაროელი“ (ჭიათურა) | 4 | 1 | 2 | 1 | 3—2 | 4 |
| „ისანი“ (თბილისი) | 4 | 1 | 1 | 2 | 3—2 | 3 |
| „ქართლი“ (გორი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—4 | 3 |
| „ირისტონი“ (ცხინვალი) | 4 | 1 | 1 | 2 | 2—5 | 3 |
| „სინათლე“ (თბილისი) | 3 | 0 | 2 | 1 | 0—1 | 2 |
| „ოდიში“ (ზუგდიდი) | 4 | 0 | 2 | 2 | 1—8 | 2 |
| „დინამო“ (სოხუმი) | 3 | 0 | 1 | 2 | 2—5 | 1 |
| „დინამო“ I (თბილისი) | 1 | 0 | 0 | 1 | 0—2 | 0 |

II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „შუქურა“ (ქობულეთი) | 4 | 3 | 1 | 0 | 3—1 | 7 |
| „მერცხალი“ (მახარაძე) | 4 | 3 | 0 | 1 | 9—4 | 6 |
| „კოლხეთი“ (ცხაკაია) | 4 | 2 | 2 | 0 | 8—5 | 6 |
| „მეშახტე“ (ტყვარჩელი) | 4 | 1 | 3 | 0 | 3—2 | 5 |
| ასკ (თბილისი) | 3 | 1 | 2 | 0 | 4—2 | 4 |
| „გურია“ (ლანჩხუთი) | 4 | 1 | 2 | 1 | 5—3 | 4 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 3 | 2 | 0 | 1 | 5—4 | 4 |
| „ლოკომოტივი“ (სამტრედია) | 4 | 1 | 2 | 1 | 2—5 | 4 |
| „ბახმარო“ (ჩოხატაური) | 4 | 0 | 2 | 2 | 4—7 | 2 |
| „ნარინჯი“ (ბათუმი) | 4 | 0 | 2 | 2 | 3—6 | 2 |
| ფიზკ. ინსტ. (თბილისი) | 4 | 0 | 1 | 3 | 5—8 | 1 |
| „დინამო“ (ქუთაისი) | 4 | 0 | 1 | 3 | 2—8 | 1 |

## ლიდერობენ ზესტაფონის „მეტალურგი“ და ქობულეთის „შუქურა“

# სველი კილომეტრები

**სოჭი, 12 აპრილი.** მრავალდღიანი ველორბოლის მონაწილეებმა ადლერის საბჭოთა მეურნეობა „იუჟნიე კულტურის“ რაიონში 40-კილომეტრიანი რბოლა გამართეს დაყოფილი სტარტით.

შეჯიბრებაში, რომელიც წვიმაში ჩატარდა, საუკეთესო შედეგი მოიპოვა მინსკელმა არმიელმა ა. დოხლიაკოვმა — 57.54,0. გამარჯვებულს 36 წამით ჩამორჩა მოსკოველი პ. იიფერტი (ცსკა).

ამ სველი კილომეტრების გავლას ერთნაირი დრო — 58.52,0 — მოანდომეს სოჭელმა გ. საიდხუჟინმა („ტრუდი“) და ალმა-ათის დინამოელმა ვ. ქარკოვმა.

V-VI ადგილები დაიკავეს ლენინგრადელმა არმიელებმა ა. ოლიზარენკომ და ა. პეტროვმა.

▲ **მონტე-კარლო.** აქ დამთავრდა ჩოგბურთელთა დიდი საერთაშორისო ტურნირი. ვაჟთა ფინალში მ. სანტანამ (ესპანეთი) დაამარცხა იტალიელი ნ. პიეტრანჯელი — 8:6, 4:6, 6:4, 6:1, ხოლო ქალთა გადამწყვეტ მატჩში ჰ. ნისენმა (გფრ) — იტალიელი ლ. პერიკოლი — 6:2, 6:2. ვაჟთა წყვილებში ყველას აჯობეს პიეტრანჯელიმ და რუმინელმა ი. ცირიაკმა, რომლებმაც დასკვნითი ასპარეზობა მოუგეს ხ. პინტო-ბრავოსა (ჩილი) და ე. გოროს-ტიაგას (ბოლივია) — 6:0, 6:1. შერეულ წყვილებში უძლიერესი იყო გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის დუეტი — კ. ზეელბახი და უ. გოტშალკი, ხოლო ქალთა წყვილებში — კ. სპინოზა (საფრანგეთი) და ვ. ჟოპიჩკოვა (ჩეხოსლოვაკია).

▲ **რომი.** იტალიის კალათბურთელ ვაჟთა ჩემპიონატი 86-86 ქულით დაამთავრეს „სიმენტალმა“ და „ინისმა“. უძლიერესის გამოსავლენად მათ შორის ჩატარდება დამატებითი შეხვედრა.

# სულ გამარჯვების გზით გევლოთ!

ძველი სენაკის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობას ცხაკაიას სპორტკავშირის თავმჯდომარე გივი ბოკუჩავასთან ერთად ვესტუმრეთ. შესვენების დროს მივედით, დერეფანში მაგიდის ჩოგბურთს თამაშობდნენ. მხიარულად შემოგვეგებნენ.

გ. ბოკუჩავა ჩინებული ჩოგბურთელი ყოფილა.

— 10 ქულას მოგცემ და გეთამაშები, — შესთავაზა კუკური ნინუამ.

— კი, ბატონო, მაგრამ მაშინ მე ცაციათი შეგებრძოლები, — უპასუხა ბოკუჩავამ და მატჩი დაიწყო. მალე ძველსენაკელმა მშენებელმა 10-ქულიან ფორაზე უარი თქვა, — თანაბარ პირობებში ვითამაშოთო. მეტოქეც დაითანხმა, მაგრამ მაინც დამარცხდა.

ჩვენი სტუმრობის მიზეზი რომ გაიგეს, თამაში ხელათ შეწყდა, გარს შემოგვეხვივნენ, საუბარი გაგვიბეს. ინტერესით, გულმხურვალედ, საქმის სიყვარულით ლაპარაკობდნენ. ძველსენაკელთა სპორტული საქმიანობის აქ-კარაზე ბევრი რამ იქვე გავიგე.

...შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა რომ მოახლოვდა, ასპარეზობაში მონაწილე მექანიზატორთა, მშენებელთა, ცენტრალური საწყობის, მეცხოველეთა, I და II განყოფილებათა გუნდების ხელმძღვანელები დამდურებულებივით ერიდებოდნენ ერთმანეთს. აქაურ მშენებელთა კოლექტივის მესვეური კ. ნინუა ხომ სულაც „დამუნჯდა". ვერ იქნა და ვერ წამოაცდევინეს, როგორ ემზადებოდნენ მათი გუნდები სპარტაკიადისათვის მეტისმეტად თუ ჩააცივდებოდნენ, ასეთი პასუხი ჰქონდა მზად:

— ვერ არიან ბიჭები ფორმაში. არა და, არც ახალი სპორტული ტანსაცმელი გვაქვს!

აბა, ამას ვინ დაიჯერებდა. ყველამ იცოდა, რომ მშენებლები საწვრთნელ მატჩებში მეზობელი სოფლების კალათბურთელებს, ფეხბურთელებს, ფრენბურთელებს ხვდებოდნენ და დამარცხებული იშვიათად ბრუნდებოდნენ. ზოგი იმასაც ირწმუნებოდა, მშენებლებმა ფული შეაგროვეს, ახალთახალი სპორტული ფორმა შეიძინეს და რომ შეჯიბრებამდე არავინ ნახოს, ერთ-ერთის ოჯახში აქვთ გადამალულიო.

სპარტაკიადის გახსნისათვის ყველაფერი მზად იყო. საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, მეურნეობის მთავარი აგრონომი ბ. ხოშტარია საბოლოოდ ამოწმებდა მონაწილე გუნდების განაცხადებს.

...საბჭოთა მეურნეობის სტადიონი საზეიმოდ მორთეს. სპარტაკიადაზე მეზობელი სოფლებიდანაც ჩამოვიდა სპორტის ბევრი გულშემატკივარი. ჩემპიონობისათვის ბრძოლა კარგა ხანს გაგრძელდა. განსაკუთრებით ფეხბურთელები ფიცხობდნენ. ყველა გუნდი ასე თუ ისე თანაბარი ძალისა იყო, მაგრამ მშენებლები მაინც ჯაბნიდნენ სხვებს. ამიტომ, „მტერიც" ბევრი გამოუჩნდათ. შეხვედრა ვერ ჩაატარეს, რომ მეტოქეს მაშინვე არ გაეპროტესტებინა ლიდერები ამ ამბავს დიდად არ ნაღვლობდნენ, მაგრამ მეცხოველეობის განყოფილების გუნდის ხელმძღვანელმა მ. ლატარიამ რომ იჩივლა, მაგათ გუნდში ო. ლორთქიფანიძემ ითამაშაო, მაშინ კი შეცბნენ. ო. ლორთქიფანიძე სწორედ თამაშის წინა დღეს სხვა ობიექტზე გადაიყვანეს და ახლა მართლაც ხომ შეიძლებოდა მათთვის წაგება ჩაეთვალათ? კაცმა რომ თქვას, სახელს უფრთხილდებოდნენ, თორემ მშენებელი ფეხბურთელები მაინც პირველნი იყვნენ.

სპარტაკიადაში საერთო გუნდური I ადგილი მშენებელთა ნაკრებმა დაიკავა, იგი უძლიერესი იყო სპორტის ყველა სახეობაში.

ძველსენაკელმა ფიზკულტურელებმა რაიონულ სპარტაკიადებშიც არაერთხელ ისახელეს თავი, ბევრჯერ საერთო გუნდური პირველობა მოიპოვეს, ბევრჯერ გარდამავალი ჯილდოც დაისაკუთრეს, ერთხელ რესპუბლიკურ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლისათვის აქაური კალათბურთელები საქართველოს სპორტკავშირის დიპლომითაც კი დააჯილდოეს.

ძველსენაკელთა წარმატება შემთხვევითი როდია. სხვანაირად არც შეიძლება, — შესანიშნავი ახალგაზრდობა, კეთილმოწყობილი სტადიონი, კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები...

მძლეოსნობის, ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის, ჭადრაკისა და შაშის სექციებში 250 ფიზკულტურელია გაერთიანებული. გადაჭარბებით შესრულდა ნიშნოსნების, თანრიგოსნების, საზოგადოებრივი კადრების მომზადების შარშანდელი გეგმა. 2 მეორეთანრიგოსნის ნაცვლად მომზადდა 4, 18 მესამეთანრიგოსნის ნაცვლად კი —23. გეგმა სულ არ ითვალისწინებდა, მაგრამ მშთ II საფეხურის ძველსენაკელ ნიშნოსნებს შარშან 14 კაცი შეემატა.

მეურნეობის სპორტული ბედ-იღბალი ერთნაირად აღელვებს ყველა მუშამოსამსახურეს, დირექტორს ა. კურდღელიას, პარტორგანიზაციის მდივანს ო. ხუხიას, პროფორგანიზაციის ხელმძღვანელს ი. ჭკადუასა თუ ფიზკულტურის ორგანიზატორს თ. კუპრეიშვილს. სწორედ ეს არის მათი წარმატების უპირველესი საწინდარი.

ახალგაზრდები ფიქრობენ, ფიზკულტურის შტატიანი ინსტრუქტორი რომ გვყავდეს, ამასაც არ დავჯერდებოდითო. სპორტის აქაურმა გულშემატკივრებმა კიდევ ერთი გულისტკივილი გამანდეს და მთხოვეს, არავითარ შემთხვევაში არ გაგვამხილოო ბოდიშს კი ვიხდი ძველსენაკელთა წინაშე, მაგრამ ეს ამბავი ყველამ უნდა გაიგოს: იმ სოფელში, სადაც ჩვენი სასიქადულო ფალავანი ნესტორ ესებუა დაიბადა, დავაჟკაცდა და ჭიდაობას ეზიარა, არც საჭიდაო მოედანია და ვერც ამ სპორტული სახეობის მიმდევრებს ნახავთ.

ძველსენაკელებს შარშან ნოემბრიდან სოციალისტური შეჯიბრება აქვთ ესტონეთის რაკვერეს რაიონის სოფელ ვინის მეღორეობის საჯიშე საბჭოთა მეურნეობის მუშაკებთან. მალე მათ სტუმრადაც ელიან. ესტონელი კოლეგები იტყობინებიან, ჩვენს დელეგაციაში სპორტსმენებიც იქნებიანო და მეურნეობის ახალგაზრდები მათ შესახვედრადაც ემზადებიან.

სულ გამარჯვების გზით გევლოთ, ძველსენაკელო ფიზკულტურელებო!

ზ. ჯაფარიძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფელი ძველი სენაკი, ცხაკაიას რაიონი.

# ჭადრაკი — სასკოლო საგანი

წერილი ლენინგრადიდან

ეს 2 წელია, ლენინგრადის 389-ე სკოლამ საჭადრაკო და პედაგოგიური საზოგადოებრიობის ყურადღება მიიპყრო. საქმე ის არის, რომ სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ვ. ზაკის თაოსნობით ამ სკოლის დაბალ კლასებში ახალი საგანი — ჭადრაკი შემოიღეს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ლაპარაკია ჭადრაკის „ვუნდერკინდების" სამჭედლოზე, შემცდარა. არა, ლენინგრადელებმა მხოლოდ გაბედული ექსპერიმენტი ჩაატარეს, ჭადრაკის დახმარებით მოსწავლეთა აკადემიური წარმატების ამაღლება ცადეს.

ახალი საგანი თავდაპირველად ხუთ III კლასში შემოიღეს. გაკვეთილებს ატარებდნენ ვ. ზაკი (ეს ის ზაკი გახლავთ, რომელმაც თავის დროზე ბ. სპასკი „აღმოაჩინა") და ოსტატი მ. ნოახი. მიიწვიეს სხვა მასწავლებლები და სკოლის დირექტორი გ. მორდვინოვიც. თავის მხრივ მასწავლებლებს ოსტატები ამეცადინებენ. გაიხსნა საჭადრაკო კაბინეტიც.

წლეულს ახალ საგანს III და IV კლასებში ასწავლიან. პირველი შედეგების შეჯამება უკვე შეიძლება. მასწავლებლები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ის კლასები, სადაც ჭადრაკის გაკვეთილები ტარდება, აკადემიური წარმატებით გაცილებით ძლიერია, ვიდრე სხვა. განსაზღვრულია ახალი საგანი VIII კლასის ჩათვლით ისწავლებოდეს.

III კლასში ისწავლება ფიგურების სვლები, ნოტაცია, უმარტივესი დაბოლოებანი, IV კლასში — დებიუტები, მარტივი კომბინაციები, მანევრები. მოსწავლეს ნიშანი ეწერება და საშინაო დავალებაც ეძლევა. ჭადრაკი ბავშვებს ლოგიკურ აზროვნებას უვითარებს და ამოცანების სწორად ამოხსნაში ეხმარება. მოსწავლეებმა შეიყვარეს ჭადრაკი, კარგად გაიწაფნენ და ახლა ინგლისელ თანატოლებსაც კი ეთამაშებიან მიწერ-მოწერით.

სკოლაში მრავალი წერილი მოდის, — მასწავლებლებს თხოვენ, გამოცდილება გაგვიზიარეთო. შეიძლება ითქვას, რომ ექსპერიმენტმა გაამართლა. კარგი იქნება, თუ ლენინგრადელთა წამოწყებას მხარს დაუჭერენ თბილისში, სადაც ყველა პირობაა სკოლებში ჭადრაკის სწავლების დასანერგად.

ა. გელერი,

სპორტის ოსტატი.

# ბოდბური უცნაურობანი

სიღნაღის ავტოსადგურში ბარათი გადმოგვცეს: „... ჩვენს სოფელში ფიზკულტურული მუშაობა წლითიწლობით უარესდება, იქნებ ამოხვიდეთ და „ბოდბური უცნაურობანი" ნახოთ"... გვწერდნენ ბოდბელი ახალგაზრდები.

იმ დღესვე წავედით. „კოლმეურნის" რაიონული საბჭოს თავმჯდომარეც გვახლდა. მშვენიერი სოფელია ბოდბე — კეთილმოწყობილი ქუჩები, ორსართულიანი სახლები, განათება, ტრანსპორტი, თვალუწვდენელი ბაღ-ვენახები და საკოლმეურნეო მინდვრები...



კოლმეურნეობის გამგეობაში რომ ფიზკულტურულ-სპორტული საქმიანობის მდგომარეობა ვიკითხეთ, თავი იქეს. სიამოვნებით დავუჯერებდით, მაგრამ ცოტა ღრმად რომ ჩავდიეთ, სამწუხაროდ, ის გამართლდა, რასაც ახალგაზრდები გვწერდნენ.

**უცნაურობა პირველი, ანუ „გულუხვებმაც იძუნწეს".** ბოდბეში დიდძალი ახალგაზრდობაა. სპორტი უყვართ, მაგრამ სად ცადონ ძალა, როცა არც მასობრივი შეჯიბრებები ტარდება, არც სპორტული სექციები მუშაობენ რიგიანად? ახალგაზრდები კარგა ხანია ელიან, რომ კოლმეურნეობა სპეციალისტს მოიწვევს, გასამრჯელოს გადაუხდის და ფიზკულტურული მუშაობის გაშლას დაავალებს. ამის თაობაზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართვა ბოდბეშიც მიიღეს, მაგრამ ამ კეთილი საქმისთვის თავი არავინ შეიწუხა. შარშან კაპიკიც არ დახარჯულა ფიზკულტურისა და სპორტის საჭიროებისთვის. იქნებ თანხები არ აქვთო, იკითხავთ. ამაში ჩვენც გვეპარებოდა ეჭვი და უფროსმა ბუღალტერმა საბუთებით დაგვიმტკიცა „გულუხვობა". თურმე მეძროხეობის ფერმაში ერთსა და იმავე დღეს ორი მხატვრული ფილმი უჩვენებიათ, დავთარში ჩაუწერიათ მხატვრული კი არა, სასოფლო-სამეურნეო ფილმები იყოო და 200 მანეთი (!) გადაუხდიათ. ასევე ხელგაშლილად გამასპინძლებიან ერთ-ერთი კონცერტის მონაწილეებსაც. კი, მაგრამ, ფიზკულტურამ და სპორტმა რაღა დააშავა?

**უცნაურობა მეორე, ანუ „აკრძალული ხილი".** ბოდბეს ფეხბურთის მინდორზე მობურთალნი კარგა ხანია აღარავის უნახავს. სამაგიეროდ, აბიბინებულ ბალახში ცხვრები ნებივრობენ. ბიჭებმა თქვეს: მოედანი შემოუღობავია, გარს კი ვენახები აკრავს და ამიტომ სათამაშოდ არავინ გვიშვებსო. ვენახი ესაზღვრება საშუალო სკოლის ფეხბურთის მინდორსაც. მოსწავლეები შიშით სათოფედ აღარ ეკარებიან ბურთს, ვინაიდან ვენახის პატრონმა ძია არსენმა დირექციას მკაცრი ულტიმატუმი წაუყენა: არა ვნახო ამ მინდორზე ვინმემ ბურთი ითამაშოსო. ასე გადაიქცა შემოუღობავი ბაზები სპორტის მოყვარულთათვის შეუვალ „ციხე-სიმაგრედ".

**კიდევ ერთი ექსტრა-უცნაურობა, ანუ დავიწყებული ანდაზა — შინ მიტანილი ქვაც ქვადაა.** ამ 5 წლის წინ, ჭიდაობის მოყვარულთა იერიშებისგან რომ მოესვენათ, ძველანაგელებმა საჭიდაო ლეიბები ქვევრში დამალეს. ბოდბელებმა იფიქრეს, იფიქრეს, უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, ადგნენ და მათაც 24 ოლიმპიური ლეიბი ნესტიან საწყობში ჩაყარეს, ჩაყარეს და დამშვიდდნენ, ლეიბები რომ აღარ ექნებათ, როგორღა იჭიდავებენ, ისინიც მოისვენებენ და ჩვენცო.

მიბაძვით კი მიბაძეს, მაგრამ ის აღარ გახსენებიათ, რომ შეიძლებოდა ძველანაგელებივით საქვეყნოდ შერცხვენილიყვნენ.

თ. გაჩეჩილაძე.

(ჩვენი სპეც. კორ.).

სიღნაღის რაიონი.

* * *

სურათზე: საწყობში უპატრონოდ დაყრილი საჭიდაო ლეიბები.

ფოტო ავტორისა.

# 8 პრიზიორი

„მხიარული დელფინის" ჟიურიმ შეაჯამა წლევანდელი დაუსწრებელი საკავშირო პირველობის I ეტაპის შედეგები და გამოაქვეყნა პრიზიორთა სია. შარშანდელთან შედარებით სიაში უფრო მეტი ადგილი დაისაკუთრეს საქართველოს ბავშვთა სპორტსკოლების აღსაზრდელებმა. განსაკუთრებით ისახელეს თავი დინამოელებმა: ჩვენი რესპუბლიკის ნორჩი მოცურავეების მიერ მოპოვებული 8 საპრიზო ადგილიდან 6 მათ ეკუთვნით.

50 მეტრზე ზურგზე ცურვაში უმცროს ასაკში სსრ კავშირში საუკეთესო დრო აჩვენა 11 წლის გოგონამ, დინამოელმა თ. ლეკვეიშვილმა (მწვრთნელი მ. ტატიშვილი) — 37,0. მას მხოლოდ თანაგუნდელი, 12 წლის ვ. კორნიენკო (მწვრთნელი ზ. ნათაძე) ჩამორჩა — 39,9. 50 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში III ადგილი დაისაკუთრა ნორჩმა დინამოელმა, 14 წლის ბიჭუნამ ს. მატვეევმა (მწვრთნელი თ. მძინარიშვილი) — 28,3.

საერთო ფიზმომზადებაში ასპარეზობისას უმცროს ასაკში ადგილიდან სიგრძეზე ხტომაში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებმა, დინამოელებმა ა. აირაპეტოვმა (მწვრთნელი რ. სულავა), დ. სირაძემ (მწვრთნელი ვ. როდინი) და განათლების განყოფილების სპორტსკოლის აღსაზრდელმა ს. ანიკინმა (მწვრთნელი კ. პოტაპოვი) გაიყვეს. მათ ერთნაირი შედეგი (225 სმ) აჩვენეს. საშუალო ასაკში II ადგილი მოიპოვა თ. მძინარიშვილის აღსაზრდელმა ჯ. სირაძემ — 268 სმ, ხოლო III — „შრომითი რეზერვების" სპორტსმენმა თ. წყაროველმა (მწვრთნელი ი. უმერენკო) — 264 სმ.

## საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი მხარს უჭერს

სპორტულ ჟურნალისტთა ბრიტანეთის კავშირის სესიამ მკაცრად გააკიცხა ნატოს ქვეყნები გდრ-ის სპორტსმენების მიმართ დისკრიმინაციის გამო და ინგლისის პრემიერ-მინისტრ ვილსონთან საპროტესტო დელეგაციაც კი გაგზავნა. ამასთან, კავშირის წარმომადგენლებმა მხარდაჭერა სთხოვეს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს.

# ყოველი

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტომ ამის თაობაზე შემდეგი დეპეშა გადმოსცა:

„როგორც ლონდონში გახდა ცნობილი, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა პირობა დადო, რომ მხარს დაუჭერს ბრიტანელ ჟურნალისტებს". სპორტულ ჟურნალისტთა ბრიტანეთის კავშირისადმი გაგზავნილ საპასუხო წერილში ბრენდეჯი წერს:

„კუბერტენის იდეის სულისკვეთებით, ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ყოველი ქვეყნის და სპორტსმენის მიმართ ყოველგვარ დისკრიმინაციას. ამიტომ, სავსებით ვუჭერ მხარს აღმოსავლეთ გერმანიის სპორტსმენებისადმი დისკრიმინაციის შეწყვეტისკენ თქვენს სამართლიან სწრაფვას. შემდგომში შეგიძლიათ ჩვენი ყოველგვარი დახმარების იმედი იქონიოთ. დაგეხმარებით, კერძოდ, ლონდონში, ფეხბურთის მსოფლიო პირველობაზე გდრ-ის სპორტული ჟურნალისტებისთვის ვიზების გაცემის საკითხშიც.

შემიძლია ისიც გადმოგცეთ, რომ ამ თვის ბოლოს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი რომში შეიკრიბება მორიგ სესიაზე, რათა განიხილოს XX და XXI ოლიმპიური თამაშების საკითხი. ამ თამაშების ჩატარების უფლება და პატივი არავითარ შემთხვევაში არ მიენიჭება იმ ქვეყანას, რომელიც წინასწარ არ მოგვცემს გარანტიას, რომ ასპარეზობაში დაუბრკოლებლივ მიიღებენ მონაწილეობას საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შემავალი ყველა ქვეყნის ათლეტები".

## „ისინი ხუთნი იყვნენ"

ამ სათაურით დაიბეჭდა ამერიკის რამდენიმე გაზეთში პროფესიონალთა სებრინგის (ფლორიდის შტატი) ტრადიციული ავტორბოლის რეპორტაჟი. ამ რბოლებმა კარგა ხანია ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიმკვიდრეს პროფესიულ ავტორბოლებში როგორც შემოსავლის, ისე მონაწილეთა რაოდენობის მხრივ. ამჯერად, სპორტსმენები მოწინავე დასავლეთგერმანული და ამერიკული საავტომობილო ფირმების — ფორდის, პორშეს, ფერარის და ა. შ. მანქანებით ასპარეზობდნენ.

იშვიათია, სებრინგის რბოლებში რაიმე უბედურება არ მოხდეს. ახლაც ასე იყო. დაიწყო იმით, რომ კანადელმა რ. მაკლინმა, რომელიც „ფორდ გტ-40" ავტომობილს მართავდა, ვერ გადალა[illegible] შეასკდა პატარა კედელს, რომელიც [illegible] ფდა. მაყურებლებს ბედმა გაუღიმა[illegible] მაგრამ თავად მაკლინს ბენზინი [illegible] მანქანაში დაიწვა. ამის შემდეგ [illegible] შეწყვიტეთო. ისინი ამბობდნენ: [illegible] დიდი, ხოლო ავტოდრომსა და მა[illegible] ღენად უმნიშვნელოა, რომ მოსალო[illegible] მაგრამ ავტორბოლების ორგანიზატ[illegible] დაინტერესებულ ფირმებს ამის გაგ[illegible]

რბოლები გაგრძელდა და აი, [illegible] თმანეთს მთელი სისწრაფით შეასკ[illegible] უესტერსის (პორშე) და მექსიკელ [illegible] სის ავტომობილი ჰაერში ამოტრია[illegible] ლი იქვე მოკვდა, ერთმა ჰოსპიტალ[illegible] მძიმედ დაშავდა.

მაშ ასე, 5 მსხვერპლი ერთ რბ[illegible] ზეთები. რამდენი იქნება შემდეგ[illegible]

## ბიკილა მეხ[illegible]

კარგა ხანია, პრესაში არა[illegible] დიის ლეიტენანტის, უძნე[illegible] ური ოქროს მედლის მფლობელ[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბრძოლა იწყება

„ბ" კლასი IV ზონა

მალე დაიწყება სსრ კავშირის პირველობის მატჩები „ბ" კლასის გუნდებისთვის. ისევე, როგორც შარშან, ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები მონაწილეობას მიიღებენ რსფსრ-ს IV ზონაში.

აი, ზონის შემადგენლობა: „ლერნაგორცი" (კაფანი), „არაქსი" (ერევანი), „ლორი" (კიროვაკანი), „სევანი" (ოქტომბერიანი), „ცემენტი" (ნოვოროსიისკი), „უროჟაი" (კრიმსკი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „სპარტაკი" (კისლოვოდსკი), „უროჟაი" (მაიკოპი), „სპარტაკი" (ელისტა), „დინამო" (მახაჩყალა), „უროჟაი" (დერბენტი), „მაშინოსტროიტელი" (პიატიგორსკი), „დინამო" (სოხუმი), „კოლხიდა" (ფოთი), „მეტალურგი" (რუსთავი), „ალაზანი" (გურჯაანი), „დილა" (გორი), „მეშახტე" (ტყიბული), „ენგური" (ზუგდიდი).

მოგვყავს ჩვენი გუნდების შეხვედრათა კალენდარი (აპრილი-მაისი).

**27 აპრილი**

„ლერნაგორცი" — „მეტალურგი", „არაქსი" — „ალაზანი", „ლორი" — „დილა", „სევანი" — „მეშახტე", „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „ენგური", „კოლხიდა" — „დინამო" (მახაჩყალა), „დინამო" (სოხუმი) — „უროჟაი" (დერბენტი).

**2 მაისი**

„ლერნაგორცი" — „ალაზანი", „არაქსი" — „მეტალურგი", „ლორი" — „მეშახტე", „სევანი" — „დილა", „მაშინოსტროიტელი" — „ენგური", „დინამო" (სოხუმი) — „დინამო" (მახაჩყალა), „კოლხიდა" — „უროჟაი" (დერბენტი).

**7 მაისი**

„ლორი" — „მეტალურგი", „სევანი" — „ალაზანი", „დილა" — „ლერნაგორცი", „მეშახტე" — „არაქსი", „მაშინოსტროიტელი" — „კოლხიდა", „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დინამო" (სოხუმი), „უროჟაი" (დერბენტი) — „ენგური".

**12 მაისი**

„ლორი" — „ალაზანი", „სევანი" — „მეტალურგი", „დილა" — „არაქსი", „მეშახტე" — „ლერნაგორცი", „მაშინოსტროიტელი" — „დინამო" (სოხუმი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „კოლხიდა", „დინამო" (მახაჩყალა) — „ენგური".

**17 მაისი**

„ენგური" — „ლერნაგორცი", „კოლხიდა" — „არაქსი", „დინამო" (სოხუმი) — „ლორი", „მეტალურგი" — „ცემენტი", „ალაზანი" — „უროჟაი" (კრიმსკი), „დილა" — „უროჟაი" (მაიკოპი), „მეშახტე" — „სპარტაკი" (ელისტა).

**22 მაისი**

„ენგური" — „არაქსი", „კოლხიდა" — „ლერნაგორცი", „დინამო" (სოხუმი) — „სევანი", „მეტალურგი" — „უროჟაი" (კრიმსკი), „ალაზანი" — „ცემენტი", „დილა" — „სპარტაკი" (ელისტა), „მეშახტე" — „უროჟაი" (მაიკოპი).

**26 მაისი**

„ენგური" — „ლორი", „კოლხიდა" — „სევანი", „დინამო" (სოხუმი) — „არაქსი", „ცემენტი" — „დილა", „უროჟაი" (კრიმსკი) — „მეშახტე", „უროჟაი" (მაიკოპი) — „მეტალურგი", „სპარტაკი" (ელისტა) — „ალაზანი".

**31 მაისი**

„ენგური" — „სევანი", „კოლხიდა" — „ლორი", „დინამო" (სოხუმი) — „ლერნაგორცი", „ცემენტი" — „მეშახტე", „უროჟაი" (კრიმსკი) — „დილა", „უროჟაი" (მაიკოპი) — „ალაზანი", „სპარტაკი" (ელისტა) — „მეტალურგი".

• • •

„ბ" კლასის გუნდები 19 აპრილს ებმებიან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში. ამ დღეს ერთმანეთს ხვდებიან ტყიბულის „მეშახტე" და გორის „დილა".

## მოახლოვდა თასის გათამაშებას

# 21 და 2

21 სპორტსმენი მონაწილეობდა ახლახან დამთავრებულ მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა რესპუბლიკურ პირად-გუნდურ ჩემპიონატში. გუნდურ პირველ ადგილს ერთმანეთს მხოლოდ 2 კოლექტივი ეცილებოდა (თბილისის II ნაკრები კონკურსგარეშე ასპარეზობდა). შეჯიბრებაში არ გამოვიდნენ სოხუმის, ბათუმისა და რუსთავის სპორტსმენები და სარბიელი მხოლოდ ქუთაისისა და თბილისის გუნდებს დარჩათ. აქ წარმატება იზეიმეს დედაქალაქის წარმომადგენლებმა.

უფრო საინტერესო იყო პირადი პირველობისთვის ბრძოლა. ტურნირის პირველი დღის შემდეგ დაწინაურდა ს. მაჭავარიანი, რომელსაც მცირე განსხვავებით კვალში ჩაუდგა ნ. სალაძე. შეჯიბრების დასკვნით დღეს მდგომარეობა შეიცვალა — სალაძემ გაასწრო მეტოქეს და რესპუბლიკის ჩემპიონის წოდებაც მოიხვეჭა II ადგილზე გავიდა მაჭავარიანი, III — ლ. მამულია (ყველანი — თბილისი). გათამაშდა აგრეთვე პირველობა როგორც უსაგნოდ, ისე საგნით ვარჯიშში. აქ შესაბამისად გაიმარჯვეს სალაძემ და ლ. ნაცვლიშვილმა.

შეჯიბრების დასასრულს მხატვრული ტანვარჯიშის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარემ ნ. ბარათაშვილმა განაცხადა:

— როგორც ცნობილია, წლეულს ძალაში შევიდა ახალი პროგრამა და ეს შეჯიბრება ორ მიზანს ისახავდა: 1. როგორ დაეუფლნენ რესპუბლიკის მხატვრული ტანმოვარჯიშეები ახალ პროგრამას, 2. საქართველოს ნაკრები გუნდის დაკომპლექტებას ახალგაზრდა, ნიჭიერი სპორტსმენებით.

პრიზიორებზე რომ არაფერი ვთქვათ, შეჯიბრებამ კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ ნ. რევაზიშვილის, ე. როყვას, მ. ჩიხლაძისა და სხვათა სახით ჩვენ პერსპექტიული ახალგაზრდობა გვყავს.

გაკვირვებას იწვევს რესპუბლიკის მთავარი ქალაქების სპორტსმენთა გამოუცხადებლობა ამ მეტად საჭირო და საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე. როგორც ჩანს, სოხუმში, ბათუმში, რუსთავსა და ზოგიერთ სხვა ქალაქში ნაკლები ყურადღება ექცევა მხატვრული ტანვარჯიშის განვითარებას, ან სპორტის ამ სახეობის სექციები სულაც უმოქმედობენ.

ქ. ოთარაშვილი.

* * *

სურათზე: ჩემპიონატის პრიზიორები (მარცხნიდან მარჯვნივ) — ლ. მამულია, ნ. სალაძე და ს. მაჭავარიანი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



# „შუქურა" ამარცხებს ლიდერს

„შუქურა" (ქობულეთი) — „მერცხალი" (მახარაძე) 1:0 (1:0).

„შუქურა": ქობულაძე, გოგმაჩაძე, პატარაია, ახალაძე, ლომპასოვი, ილურიძე, შონუსი, მღებრიშვილი, მანელიშვილი, კბილაშვილი, დობორჯგინიძე (მუხაშავრია).

„მერცხალი": ჩემინავა, მარგველაშვილი, თურმანიძე, ზურაბაშვილი, დოლიძე, ნინუა, თალაკვაძე, ვახრამოვი, სალუქვაძე, არობელიძე, გოგოტიშვილი (ანთიძე).

მსაჯი ლ. ჯოხაძე (ხაშური).

ქობულეთელთა შეხვედრამ ლიდერთან დიდი ინტერესი გამოიწვია არა მარტო ადგილობრივ ფეხბურთის მოყვარულთა შორის, — მატჩის სანახავად საკმაო რაოდენობით ჩამოვიდნენ მახარაძელი გულშემატკივრებიც.

თამაში დაიწყო სწრაფ ტემპში და უკვე მე-5 წუთზე მანელიშვილმა ვერ გამოიყენა მეტოქის კართან შექმნილი ხელსაყრელი მომენტი. მე-20 წუთზე მღებრიშვილი კარგ პოზიციაში აღმოჩნდა და მეკარესთან ორთაბრძოლაში გახსნა კიდეც ანგარიში — 1:0.

ტაიმის დასასრულამდე ჩემინავამ რამდენიმეჯერ იხსნა თავისი გუნდის კარი ხიფათისგან, მაგრამ ბურთის გატანის შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებსაც, კერძოდ, ვახრამოვს, რომელმაც ხელსაყრელი მდგომარეობიდან ააცილა ბურთი მიზანს.

მაღალი ტემპი არ დამცხრალა შესვენების შემდეგაც. ორივე გუნდის თავდამსხმელები მოქმედებდნენ აქტიურად, მონდომებით, მაგრამ შეტევის დასასრულს მათი დარტყმები მოკლებული იყო სიზუსტეს. საბოლოოდ „შუქურამ" შეძლო ამ მეტად მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვება.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

აი, მორიგი ტურის სხვა მატჩების შედეგები:

● „დინამო" (სოხუმი) — „ფეიქარი" (წულუკიძე) 1:3. მსაჯი ე. ჩიფჩიური (თბილისი).

მასპინძლებმა საგრძნობი უპირატესობით დაიწყეს თამაში და 25-ე წუთზე მიქვაბიამ გოლით დაამთავრა თავისი გუნდის ერთ-ერთი შეტევა. შესვენების შემდეგ მდგომარეობა მინდორზე მკვეთრად შეიცვალა. საპასუხო ბურთი მალე გაიტანა მანაგაძემ, ხოლო შემდეგში სოხუმელთა კარი კიდევ ორჯერ იქნა აღებული და გამარჯვება დარჩა „ფეიქარს".

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ქართლი" (გორი) 0:1. მსაჯი რ. ჩალაბიანი (თბილისი).

ორივე გუნდი თამაშობდა აუჩქარებლად, დაბალ ტემპში. თითქოს ანგარიში არც უნდა გახსნილიყო, მაგრამ მატჩის მიწურულში გორელმა დათიაშვილმა შეძლო ბურთის გატანა, რომელმაც „ქართლს" გამარჯვება მოუტანა.

● „ისანი" (თბილისი) — „ოდიში" (ზუგდიდი) 3:0. მსაჯი ვ. ლარინი (რუსთავი).

ხშირი ორმხრივი იერიშების შემდეგ ტაიმი დამთავრდა უშედეგოდ და მხოლოდ შესვენების მერე შეძლეს თბილისელებმა ინიციატივის ხელში აღება. მათი იერიშები სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა და საბოლოოდ სტუმრების კარში გატანილ იქნა 3 „მშრალი" ბურთი. აღსანიშნავია ვ. ლარინის კვალიფიციური მსაჯობა.

● „ირისტონი" (ცხინვალი) — „განთიადი" (ბორჯომი) 0:1. მსაჯი ვ. მედვედევი (რუსთავი).

ერთადერთი ბურთი „ირისტონის" კარში გაიტანა განთიადელმა დიასამიძემ.

● „დინამო" I (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 0:2. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).

ზესტაფონელი ფეხბურთელები განაგრძობენ დიდი ალმავლობით თამაშს და მათი ეს ზედიზედ მეოთხედ მოპოვებული გამარჯვებაც სავსებით დამსახურებულია.

● „მესხეთი" (ახალციხე) — „სინათლე" (თბილისი) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).

თამაშს თავიდანვე უკიდურესად დაძაბული ხასიათი ჰქონდა და ორივე კართან ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები. მხოლოდ თავდამსხმელების უზუსტო დარტყმების გამო არ იქნა შესაძლებელი ანგარიშის გახსნა.

● „დინამო" (ქუთაისი) — „მეშახტე" (ტყვარჩელი) 0:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).

ძლიერი წვიმის შედეგად ატალახებულ მინდორზე თამაში უინტერესოდ მიმდინარეობდა. სტუმრებმა გამარჯვებას მიაღწიეს ზარდანიას მიერ მეორე ტაიმში გატანილი გოლის წყალობით.

● „კოლმეურნე" (წალენჯიხა) — „ბახმარო" (ჩოხატაური) 1:0. მსაჯი ეგია (წალენჯიხა).

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — ასკ (თბილისი) 1:1. მსაჯი ვ. შახნაზაროვი (თბილისი).

ანგარიში გახსნეს არმიელებმა 11-მეტრიანი დარტყმით (კაპანაძე). ეს გოლი სტუდენტებმა გაქვითეს მეორე ტაიმის დასაწყისში (ცინცაძე).

● „ნარინჯი" (ბათუმი) — „ლოკომოტივი" (სამტრედია). 0:0. მსაჯი ა. ცაგარეიშვილი (თბილისი).

● „გურია" (ლანჩხუთი) — „კოლხეთი" (ცხაკაია) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

ლიდერთა შეხვედრას მრავალრიცხოვანი მაყურებელი დაესწრო, რომელმაც ნახა საინტერესო, დაძაბული ბრძოლა. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. 51-ე წუთზე ბურთი გაიტანა ლანჩხუთელმა ჯაგაშვილმა, რასაც მოჰყვა სტუმრების ხანგრძლივი იერიშები და ძაგანიას საპასუხო გოლი — 1:1. დარჩენილ დროში „გურია" ხშირად უტევდა, მაგრამ ამაოდ...

## ნორჩი ფრენბურთელების შეჯიბრება

გულრიფში (ჩვენი კორ.). დამთავრდა რაიონის მოსწავლე-ფრენბურთელთა პირველობა. გოგონებში გაიმარჯვეს დრანდის რუსული საშუალო სკოლის ნორჩებმა, ხოლო ჭაბუკებში — ბაგაფოსტის სომხური საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

...ვირაჟი. კანადელი სპორტსმენი ...მს მაყურებელთა ტრიბუნისგან ჰყო... ავტომობილი კედელს არ გადაევლო, ...შეესხა, ცეცხლი მოედო და საკუთარ ...ციალისტმა მოითხოვა — ასპარეზობა ...ბის მონაწილეთა სისწრაფე იმდენად ...ლთა ტრიბუნებს შორის დაშორება იმ..., უბედურება კიდევ დატრიალდესო. ...ა და თავიანთი პროდუქციის რეკლამით ...ა არ სურდათ.

...ი შედეგიც: მეორე რთულ ვირაჟზე ერ... ცნობილი ამერიკელი მრბოლელის დ. ...რიგესის (ფერარი) მანქანები. უესტერ... ტრიბუნისკენ გაფრინდა. 3 მაყურებ...ვანამდე დალია სული, 50-მდე კაცი კი

...„ისინი ხუთნი იყვნენ", — წერენ გა-

## ...თვის ემზადება

...გამოქვეყნებულა ეთიოპიის გვარ...ჯიბრებაში — მარათონში ოლიმპი...ბიკილას შესახებ. და აი, ამ დღეებში ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში ჩავიდა ცნობილი ამერიკელი მძლეოსანი, 1948 და 1952 წლების ოლიმპიადების ოქროს მედლების მფლობელი 800 მეტრზე რბენაში, ამჟამად მწვრთნელი მ. უაიტფილდი. ამერიკელ მძლეოსანს უნდა გაეგო რამდენად შეესაბამებოდა ეთიოპიის დედაქალაქის მაღალმთიანეთის გარემო მომავალი ოლიმპიადის დედაქალაქის მეხიკო-სიტის ბუნებრივ პირობებს, ამასთან, არ დააყოვნა და სახელგანთქმულ ბიკილას შეხვდა.

სამშობლოში რომ დაბრუნდა, უაიტფილდმა განაცხადა:

— დარწმუნებული ვარ, რომ ეთიოპიის გვარდიის ლეიტენანტი ბიკილა მეხიკო-სიტში მესამედ იქნება ტრიუმფატორი. ჯერ ერთი, იგი უკვე ამჟამადაც ჩინებულადაა მომზადებული, მეორე, — დაამტკიცა, რომ შესანიშნავი მებრძოლია და მასზე არ მოქმედებს ისეთი ხელისშემშლელი მიზეზიც კი, როგორიც, მაგალითად, ბრმა ნაწლავის ოპერაციაა. რასაკვირველია, იგი ალარ განმეორდება და ბიკილას მეტოქეებს თუნდაც დროებითი უპირატესობის მოპოვების საშუალებას არ მისცემს. მე ვერავის ვხედავ მძლეოსანთა მსოფლიო ვარსკვლავედში, ბიკილას რომ გაუტოლდეს. მესამე, — ბიკილა ადის-აბებას მაღალმთიან პირობებში ვარჯიშობს და, მაშასადამე, მას არ დასჭირდება აკლიმატიზაციაზე ფიქრი. ასეთი პლუსი ეთიოპიელ მარათონელს არც რომში ჰქონია და არც ტოკიოში, მაგრამ მაინც შეძლო და სამშობლოში ოქროს მედლები ჩაიტანა.

## პალმერა „მონსტრის" წინააღმდეგ

ამერიკული გოლფის მეფეა 35 წლის ა. პალმერა, კაცი, რომელმაც გოლფი პროფესიად გაიხადა და თვეში 600 ათასამდე დოლარს აკეთებს. მაგრამ ამ ბოლო ხანებში მის შემოსავალს მტერი გაუჩნდა, — დიდი ამერიკული ფირმა „გოლფკრეფტი". ამ თამაშისთვის ინვენტარის დამამზადებელმა ფირმამ პალმერას წინადადება მისცა შეხვდეს რობოტს „მონსტრს", რომელიც ფირმის დაკვეთით შექმნეს ელექტრონიკის სპეციალისტებმა. რობოტი ცალხელაა. მისი

# მხრიდან

ტანი რამდენიმე მოგრძო ყუთისგან შედგება. თავი ქოთანს მიუგავს. „მონსტრი" ბრმაა, მაგრამ თუ მას შესაბამის მოედანზე დადგამ და საჭირო დავალებას „მისცემ", თავისუფლად შეუძლია 200-250 მეტრიდან გაიტანოს ბურთი კარში, რომელიც მუჭისტოლა არც კია.

სავსებით გასაგებია, რომ გოლფის მეფეს პასუხი ჯერ კიდევ არ გაუცია ფირმისთვის. თუმცა მეფის დუმილიც კი ხელს უწყობს „გოლფკრეფტის" ფირმას, რეკლამა გაუკეთოს თავის ნაწარმს. კაცმა რომ თქვას, განა „მონსტრი" სწორედ ამისთვის არ შექმნეს?

# ხელბურთის პელედ ცნობილი

თბილისი. 12 აპრილი. სპორტის სასახლე.

სსრ კავშირი (ნაკრები) — საქართველო (ნაკრები) 26:14 (10:8).

სსრ კავშირის ნაკრების სასტარტო შვიდეული: აბაიშვილი, მაზური (გაიტანა 5 გოლი), ექსეულიძე, ცერცვაძე (8), ლებედევი (2), შევჩენკო (2), ზდორენკო (3). ითამაშეს ცაპენკომ, ნიკიტინმა, სოკოლოვმა (3) და მალიკმაც (3).

საქართველოს ნაკრების სასტარტო შვიდეული: ხუციშვილი, ბაგრატიონი (2), კარტოზია, გაზდელიანი, კოპალეიშვილი (4), ზარდალიშვილი (1), კიკაბიძე (1). ითამაშეს რუხაძემ, ბუნაძემ (5), ზაქარიაძემ (1), სხიერელმა და ხიმჩიკაშვილმაც.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ბ. გელმანი (კიევი).

• • •

სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — დანია (ნაკრები) 19:22 (7:11).

ახალგაზრდული ნაკრების სასტარტო შვიდეული: ვილსონსი, ნედბაილო (2), კლენოვი (3), კუსევიჩი (3), მოროზოვი (2), მაქსიმოვი (4), რუსინი (1). ითამაშეს პეტროსოვმა, გორიაჩიხმა (4), გრინბერგმა და გუზომაც.

დანიის ნაკრების სასტარტო შვიდეული: ლაიფი, ა. ანდერსენი (5), გ. ანდერსენი (1), ხრისტიანსენი (1), პედერსენი (6), ვოდსვორდი (6), სანდხოი. ითამაშეს აგრეთვე კრამერმა, ნილსენმა (3) და გორდმა.

მსაჯი — საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი უ. რეპო (ჰელსინკი).

ხელბურთელ ვაჟთა თბილისის საერთაშორისო ტურნირმა დასაწყისშივე დიდი ინტერესი გამოიწვია. პირველ მატჩში საქართველოსა და სსრ კავშირის ნაკრები გუნდები ასპარეზობდნენ. შეხვედრის დაწყებამდეც ცხადი იყო, რომ უპირატესობა სტუმრების მხარეზე იქნებოდა: საბჭოთა ნაკრების შემადგენლობაში აბაიშვილის, ცერცვაძის, ექსეულიძისა და ფხაკაძის შეყვანას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა ჩვენს გუნდზე. თანაც ავადმყოფობის გამო შეხვედრაში არ მონაწილეობდა ანთაძე. ასე რომ, ბრძოლის მთელი სიმძიმე ახალგაზრდობას დააწვა. მართალი იყო გაზეთ „პოლიტიკენ კოპენჰაგენის" სპეციალური კორესპონდენტი კ. მიკელსენი, როცა თქვა: „მე ვიცოდი, რომ თავისთავად, სსრ კავშირის ნაკრები უფრო ძლიერი იქნებოდა. თუმცა, თუ I ტაიმის მიხედვით ვიმსჯელებთ, საქმე მთლად ასეც არ იყო..." მართლაც, საქები არიან ჩვენი ახალგაზრდები ბუნაძე, გაზდელიანი, სხიერელი, ხიმჩიკაშვილი, კიკაბიძე, რომლებმაც კარგად აუბეს მხარი გამოცდილ მოთამაშეებს ბაგრატიონს, კარტოზიას, კოპალეიშვილს და ზარდალიშვილს. ერთი სიტყვით, საქართველოს ხელბურთელებმა პირველ ტაიმში ღირსეული მეტოქეობა გაუწიეს სსრ კავშირის ნაკრებს. ძალთა უთანაბრობა უფრო მეორე ტაიმში გამოიკვეთა. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ საქართველოს გუნდის ახალგაზრდულ შემადგენლობას საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობის გამოცდილება თითქმის არ გააჩნია.



განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ბუნაძე, რომელიც საერთოდ პირველად გამოვიდა საერთაშორისო მატჩში და ერთობ კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

რაც შეეხება სსრ კავშირის ნაკრებს, ამჯერად იგი ექსპერიმენტალური შემადგენლობით გამოდიოდა და ამიტომ, მის თამაშში ჩვეული სიმტკიცე არ იგრძნობოდა. სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში არ ჩამოვიდნენ ზელენოვი, კლიმოვი, ეზიტავიჩუსი და სხვ. მათ მაგიერ ნაკრების ახალბედები მალიკი, სოკოლოვი და ნიკიტინი თამაშობდნენ.

ახლა დანიელთა და სსრ კავშირის ახალგაზრდული გუნდის შეხვედრაზე. მართალია, საბჭოთა ხელბურთელებმა ეს მატჩი წააგეს, მაგრამ შედეგი მაინც საპატიოდ უნდა ჩავთვალოთ. საქმე ის არის, რომ გუნდი სულ რაღაც ორიოდე კვირის წინ დაკომპლექტდა, კოლექტივის შეთამაშებისათვის კი ასეთი მცირე დრო საკმარისი არაა. მთავარია, რომ ახალგაზრდული გუნდი საბჭოთა ხელბურთის ისტორიაში პირველად შეიქმნა. და მაინც, ახალგაზრდა მოთამაშეებმა ვილსონსმა, კლენოვმა, გრინბერგმა, ნედბაილომ და მაქსიმოვმა დიდი ბრძოლისუნარიანობა გამოამჟღავნეს. ამ ხელბურთელების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ გადამწყვეტ მომენტში გაუბედავად მოქმედებდნენ, ზედმეტად უფრთხოდნენ ტიტულიან მეტოქეებს.

დანიელთაგან ყველაზე საშიშ ძალას პედერსენი (№ 10) და ვოდსვორდი (№ 14) წარმოადგენდნენ. როგორც კი რომელიმე მათგანი მოედანს დატოვებდა, ჩვენს ხელბურთელებს ხელ-ფეხი ეხსნებოდათ და შეტევაში შესამჩნევად აქტიურობდნენ. უაღრესად დიდი შთაბეჭდილება დატოვა პედერსენმა, რომელსაც ევროპაში ხელბურთის პელეს უწოდებენ. იგი კონტინენტის ერთ-ერთ უძლიერეს სპორტსმენად ითვლება. ეს ტანმორჩილი ხელბურთელი ფიზიკურად შესანიშნავად არის მომზადებული. ალბათ, შემთხვევითი არ იყო, რომ მისი ყოველდღიური საწვრთნელი მეცადინეობა საგანგებოდ ალბეჭდეს კინოფირზე ყველა სახეობის სპორტსმენებისათვის სამაგალითოდ. პედერსენი მოედანზე ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში, აქვს კარგი კოორდინაცია და შესანიშნავი ინტუიცია. ძნელია დაივიწყო, ის მომენტი, როცა მან ძალზე მოუხერხებელ ვითარებაში მიიღო ბურთი თავის კართან და ამ ძნელი მდგომარეობიდანაც მოახერხა წინ გაჭრილი თანაგუნდელებიდან უშუალოდ კართან ახლოს მყოფი მოთამაშე შეემჩნია და ზუსტად გადასცა ბურთი, თვითონაც ელვის სისწრაფით გაიჭრა მეტოქეთა საჯარიმო მოედნისაკენ და შეტევა გოლით დააგვირგვინა. დანიელებმა ამ დღეს დაცვის სისტემა 6:0 აირჩიეს და წარმატებითაც გაართვეს თავი დასახულ ამოცანას. ეს მაშინ, როცა მათ კარში სათადარიგო მეკარე გ. ლაიფი იდგა, რომელიც ამ თამაშში მაინცდამაინც არ ბრწყინავდა. პირველი მეკარე ე. ჰოლსტი ისვენებდა. სხვათა შორის, მისი თბილისური დებიუტი საბჭოთა სპეციალისტებში დიდ ინტერესს იწვევს. დანიელი ხელბურთელები კარგად ფლობენ ბჯენით, ხტომით თუ ქვევიდან ტყორცნებს, რაც მათ ძალიან უადვილებს კარის აღებას. საბჭოთა ხელბურთელებისაგან განსხვავებით, შეტევისას ისინი ბურთს უშუალოდ 9-მეტრიან საჯარიმოსთან კი არ ათამაშებენ, არამედ, უფრო შორიდან, კარიდან დაახლოებით 13-14 მეტრის მანძილზე. უნდა ითქვას, რომ ამას მოაქვს კიდეც ნაყოფი, ის შთაბეჭდილებანი, რაც ტურნირის პირველი დღიდან დაგვრჩა. დანიელებმა და მასპინძლებმა თავიანთი ტექნიკური და ტაქტიკური „საკუჭნაოდან" ყველაფერი როდი გვაჩვენეს. ეჭვი არ არის, კიდევ უფრო საინტერესო ბრძოლების მოწმენი გავხდებით.

ჯ. ენუქიძე.

• • •

სურათზე: იორგენ პედერსენი შეტევის დროს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

# ავიამოდელისტთა ცენტრი

ჩვენ უკვე შევეჩვიეთ დასახელებებს: ცენტრალური საავიაციო კლუბი, ცენტრალური სასროლი, საზღვაო, რადიო, ავტომოტოკლუბი...

ამჟამად სპორტულ-ტექნიკურ კლუბთა ოჯახს კიდევ ერთი წევრი შეემატა: ცენტრალური ავიასამოდელო.

ავიამოდელიზმს საჰაერო სპორტში განსაკუთრებული ადგილი უკავია. მფრინავებისგან, პარაშუტისტებისგან და პლანერისტებისგან განსხვავებით, ავიამოდელისტი თავის სპორტულ იარაღს — საავიაციო მოდელს, თავად იგონებს და აგებს კიდეც.

ჰაერში სულ სხვადასხვა საფრენ აპარატს უშვებენ: ოთახის თვითმფრინავებს, რომელთა წონა ხშირად გრამებით იზომება, გიგანტურ მოდელებს, რომელთა გაშლილი ფრთების სიგანე სამ მეტრს აღემატება... ზოგი მოდელი დიდხანს ლივლივებს ჰაერში, ზოგი კორდზე დამაგრებული ფრენს, წრეს აკეთებს, დიდ სისწრაფეს ავითარებს და უმაღლესი პილოტაჟის ფიგურებს ასრულებს, სხვათ რადიოტალღა მართავს...

ცენტრალური ავიასამოდელო კლუბის დანიშნულებაა, თავი მოუყაროს სპორტსმენებს და დაეხმაროს მათ ოსტატობის სრულყოფაში. კლუბი ტუშინოში მდებარეობს, დედაქალაქის ცენტრალური კორდოდრომისა და ცენტრალური აეროკლუბის აეროდრომის გვერდით. ამიტომ, საველე ვარჯიშებისთვის აქ საუკეთესო პირობებია შექმნილი.

ავიასამოდელო ტექნიკამ ბოლო ხანებში დიდად წაიწია წინ. 30 წლის უკან პირველი საკავშირო შეჯიბრებების მონაწილე ავიამოდელისტები ოცნებობდნენ გაეუმჯობესებინათ სიშორის რეკორდი, რომელიც მხოლოდ 117 მეტრს უდრიდა. თითქოს გადაულახავი ჩანდა ფრენის ხანგრძლიობის რეკორდიც — 8 წუთი და 1 წამი. ახლა არავის აკვირვებს, რომ დგუშიანი თვითმფრინავის მოდელმა (ავტორი — ბელორუსიელი სპორტსმენი ე. ბორისევიჩი) სწორ მონაკვეთზე 378 კმ და 756 მეტრი იფრინა. ტულელი სპორტის ოსტატის ნ. მალიკოვის თვითმფრინავის რადიომმართველმა მოდელმა ჰაერში 10 საათსა და 38 წუთს გაძლო. კიდევ ერთი მაგალითი: 3 წლის წინ საუკეთესო კორდის მოდელები საათში 150-160 კმ სიჩქარეს ავითარებდნენ, ახლა კი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონის, სპორტის ოსტატის ე. მოსიაკოვის მიკროთვითმფრინავმა საათში 229 კმ სიჩქარე აჩვენა. და ეს სრულიადაც არ არის ზღვარი.

ცენტრალური კლუბის ამოცანაა დახმარება გაუწიოს სპორტსმენებს მოდელების, პატარა ძრავების, რადიოაპარატურის დაპროექტებასა და დამზადებაში. კლუბში მსურველი გაეცნობა ტექნიკურ სიახლეებს, მოუსმენს გამოცდილ სპორტსმენებს, კონსულტაციას მიიღებს, გამოცდის საკუთარ მოდელსა და ძრავას.

კლუბი უნდა დაეხმაროს რესპუბლიკურ, საქალაქო, სასკოლო ავიასამოდელო, აგრეთვე, ჭაბუკ ტექნიკოსთა და პიონერთა კლუბების ლაბორატორიებს. მათ დახმარებას გაუწევს ტექნიკური ბიულეტენიც, რომელსაც კლუბი უშვებს.

მ. ლებედინსკი.

# გუშინ...

თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა ხელბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირის II ტურის შეხვედრები. მატჩების შედეგები ასეთია: სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები — საქართველო 25:19 (13:10), სსრ კავშირი — დანია 20:17 (9:10).

II ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობენ სსრ კავშირის ნაკრების ხელბურთელები. დანიის ნაკრებსა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ გუნდს 2-2 ქულა აქვთ.

## მექსიკელები ემზადებიან

მეხიკო. მექსიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა 2 საკონტროლო მატჩი გამართა საკლუბო გუნდებთან „გვადალახარასა" და „ირაპუატოსთან" და ორივეში გაიმარჯვა — 3:0 და 5:0.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

**ხელბურთი.** სპორტის სასახლე. ვაჟთა გუნდების საერთაშორისო ტურნირი. დღეს ერთმანეთს ხვდებიან: 19 ს. **სსრ კავშირი — სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები.** 20 ს. 30 წ. **საქართველო — დანია.** ხვალ — ამხანაგური მატჩი **სსრ კავშირი — დანია.** დასაწყისი 20 ს. 30 წ.

**ფეხბურთი.** **სსრ კავშირის პირველობა. „ა" კლასი. „დინამო" (თბილისი) — „სპარტაკი" (მოსკოვი).** „ბურევესტნიკის" სტადიონი. **14 აპრილი.** დუბლშემადგენლობანი. დასაწყისი 17 ს. 30 წ. „დინამოს" სტადიონი. **15 აპრილი.** ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს.

**კრივი.** ლენინის სახ. სპორტდარბაზი (კონსტიტუციის ქ. № 6). **14-16 აპრილი. საქართველოს პირადი პირველობა.** დასაწყისი 12 ს. და 18 ს.

**ჩოგბურთი.** „დინამოს" კორტები (სანაპიროზე). **17-18 აპრილი. საერთაშორისო შეჯიბრება. „განთიადის" ახალგაზრდული ნაკრები — ჩეხოსლოვაკიის ახალგაზრდული ნაკრები.** დასაწყისი 15 ს.

საქართველოს სპორტკავშირი, ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაცია და გაზეთ „ლელოს" რედაქციის კოლექტივი იუწყებიან

**სპორტის დამსახურებული ოსტატის ავთანდილ ქორიძისა და სპორტის ოსტატის რომან ძნელაძის**

ტრაგიკულად დაღუპვას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულთა ოჯახებს. გამოსვენება 16 აპრილს, 16 საათზე, თბილისის „დინამოს" სტადიონის ოსტატთა კლუბიდან.

# ჭაბუკის მსოფლიო რეკორდი

კლერმონტში გაიმართა ამერიკის შეერთებული შტატების მძლეოსანთა შეჯიბრება ღია სარბიელზე. პენელმა ჭოკით დაძლია 520 სმ და იერიში მიიტანა 531 სანტიმეტრზე, — სურდა მოეხსნა მსოფლიო რეკორდი, მაგრამ მისი ცდა ამაო გამოდგა. ჭოკით ხტომაში ჭაბუკთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა 19 წლის ვილსონმა — 508. სხვა მაღალი შედეგები ასეთია: 100 იარდი — მილერი — 9,3, 220 იარდი — რივერსი — 20,5, 110 მ თარჯრბენი — 13,7, 400 მ თარჯრბენი—ვანდერსტოკი—50,0.

კლერმონტიდან სპორტსმენებმა ლოს-ანჯელოსში გადაინაცვლეს და კვლავ მაღალ შედეგებს მიაღწიეს. პენელი ამჯერად 522 სმ-ზე გადახტა. ეს შედეგი მეორეა მსოფლიოში ჭოკით ხტომის ისტორიაში (ჰანსენის მსოფლიო რეკორდის — 528 სმ-ის შემდეგ). 100 იარდზე რბენა მოიგო მატისონმა — 9,3, სიმაღლეზე ხტომა — 17 წლის — დონ პირსმა — 213, სიგრძეზე ხტომა — რობინსონმა — 809, ბირთვის კვრა — სტეინჰაუერმა — 19,35 (მატსონმა წააგო 25 სმ), 5000 მეტრზე რბენა — დეიმ — 13.44,2.

ИНДЕКС 66448

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14

უე 01532